საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/106

ქ. ბათუმი 02 ---- ივლისი, 2019 წელი

,,2017 წლის საშემოდგომო მიღებისა და 2018 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 2018 წლის შემოდგომის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 31 ივლისის N01-08/96 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების და ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის 01-02/12 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2017 წლის საშემოდგომო მიღებისა და 2018 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 2018 წლის შემოდგომის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 31 ივლისის N01-08/96 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2017 წლის საშემოდგომო მიღებისა და 2018 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 2018 წლის შემოდგომისა და 2019 წლის გაზაფხულის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ"

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. 2017 წლის საშემოდგომო მიღებისა და 2018 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 2018 (შემოდგომის) და 2019 წლებში (გაზაფხულის) სასწავლო პროცესის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) 2018 წლის სააუდიტორიო მეცადინეობები - 2018 წლის 8 ოქტომბრიდან 2018 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით;
ბ) ზამთრის არდადეგები - 2018 წლის 30 დეკემბრიდან 2019 წლის 13 იანვრის ჩათვლით.
გ) 2019 წლის სააუდიტორიო მეცადინეობები - 2019 წლის 14 იანვრიდან 29 ივნისის ჩათვლით.;

დ) საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ვადები განისაზღვროს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (მაგრამ დასრულების ვადა არ აღემატებოდეს 2019 წლის 5 აგვისტოს).“

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს), პროგრამის ხელმძღვანელებს და პრაქტიკის ხელმძღვანელებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**